სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/146

ქ. თბილისი

19 სექტემბერი 2024 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე 2024-2025 სასწავლო წელს მოწვეული პერსონალის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის –საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, ფაკულტეტების დეკანების სამსახურებრივი ბარათებისა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 19 სექტემბრის №01-05-02/24 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქვემოთ ჩამოთვლილ ფაკულტეტებზე 2024-2025 სასწავლო წლის პირველი და მეორე სემესტრის აკადემიური დატვირთვის შესასრულებლად მოწვეულ იქნეს შესაბამის დანართში მითითებული პერსონალი:

   - სამშენებლო ფაკულტეტი (იხ. დანართი 1);
   - ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი (იხ. დანართი 2);
   - სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერინგის ფაკულტეტი (იხ. დანართი 3);
   - არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი (იხ. დანართი 4);
   - სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი (იხ. დანართი 5);
   - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი (იხ. დანართი 6);
   - დიზაინის საერთაშორისო სკოლა (იხ. დანართი 7);
   - აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი (იხ. დანართი 8);

- ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი (იხ. დანართი 9);
- საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (იხ. დანართი 10);
- ენერგეტიკის ფაკულტეტი (იხ. დანართი 11);
- სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი (იხ. დანართი 12);

2. მოწვეული პროფესორის შრომის ანაზღაურება განისაზღვროს საათში 36 ლარის ოდენობით, მოწვეული ასოცირებული პროფესორის შრომის ანაზღაურება - საათში 27 ლარის ოდენობით, ხოლო ასისტენტ პროფესორის შრომის ანაზღაურება საათში 20,10 ლარს ოდენობით.

3. 2024-2025 სასწავლო წელს სტუ-ში საჯარო ლექციების წასაკითხად იქნენ მოწვეულნი 1 წლის ვადით შესაბამისი დანართით განსაზღვრული პირები (იხ. დანართი 13);

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**